სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080144846159717

 # 556

15 / თებერვალი / 2017 წ.

შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობის შესახებ

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2017 წლის 8 თებერვალს (18:08 საათზე) სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ SMP170000489 მომართვა, რომლითაც შემსყიდველი ორგანიზაცია ითხოვს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობას.

2. შესყიდვის ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, 2017 წლის 4 თებერვალს შემსყიდველმა ორგანიზაციამ განახორციელა ფარმაცევტული პროდუქტების გამარტივებული შესყიდვა, ღირებულებით - 20357.85 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ გამართული ფუნქციონირებისთვის, 2017 წლის განმავლობაში აუცილებელი ფარმაცევტული პროდუქტების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ იქნა SPA160029518, SPA160029531, SPA160029631, SPA160029633, SPA160029639, SPA160029965, SPA170000045, SPA170000107, SPA170000111, SPA170000902, SPA170000652, SPA170001359 ელექტრონული ტენდერები. აღნიშნული ტენდერებიდან ზოგიერთი არ არის დასრულებული, ზოგი შეწყვეტილია, ზოგიც დასრულდა უშედეგოდ. ვინაიდან, ზემოაღნიშნული ტენდერების ფარგლებში არ გაფორმებულა შესაბამისი ხელშეკრულებები, ხოლო საავადმყოფოს აფთიაქში ზოგიერთი მედიკამენტის მარაგი სრულად ამოიწურა, ამასთან აღნიშნული მედიკამენტები საჭირო იყო საავადმყოფოში მოთავსებული პაციენტებისთვის სამედიცინო მომსახურების გასაწევად, აუცილებელი გახდა დაუყოვნებლივ, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებულიყო საავადმყოფოს აფთიაქის გამგის მიერ მოთხოვნილი მედიკამენტების შესყიდვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესყიდვის დაყოვნება გამოიწვევდა პაციენტებისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევის შეფერხებას, რაც საფრთხეს შეუქმნიდა პაციენტების ჯანმრთელობას და სიცოცხლეს.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული შესყიდვა წარმოადგენს გადაუდებელ აუცილებლობას, რამდენადაც, როგორც მომართვაშია აღწერილი, შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ გამართული ფუნქციონირებისთვის, 2017 წლის განმავლობაში აუცილებელი ფარმაცევტული პროდუქტების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ იქნა SPA160029518, SPA160029531, SPA160029631, SPA160029633, SPA160029639, SPA160029965, SPA170000045, SPA170000107, SPA170000111, SPA170000902, SPA170000652, SPA170001359 ელექტრონული ტენდერები. აღნიშნული ტენდერებიდან ზოგიერთი არ არის დასრულებული, ზოგი შეწყვეტილია, ზოგიც დასრულდა უშედეგოდ. ვინაიდან, ზემოაღნიშნული ტენდერების ფარგლებში არ გაფორმებულა შესაბამისი ხელშეკრულებები, ხოლო საავადმყოფოს აფთიაქში ზოგიერთი მედიკამენტის მარაგი სრულად ამოიწურა, ამასთან აღნიშნული მედიკამენტები საჭირო იყო საავადმყოფოში მოთავსებული პაციენტებისთვის სამედიცინო მომსახურების გასაწევად, აუცილებელი გახდა დაუყოვნებლივ, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებულიყო საავადმყოფოს აფთიაქის გამგის მიერ მოთხოვნილი მედიკამენტების შესყიდვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესყიდვის დაყოვნება გამოიწვევდა პაციენტებისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევის შეფერხებას, რაც საფრთხეს შეუქმნიდა პაციენტების ჯანმრთელობას და სიცოცხლეს.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-11 პუნქტებით და დაადგინა:

1. მართლზომიერად იქნეს ცნობილი შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვა.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე